# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №415

**2025 წლის 22 სექტემბერი**

**ქ. თბილისი**

**„სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №176 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამსახურებრივი სარგებლობის პასპორტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №176 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/04/2015, 010130000.10.003.018561) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

**1. №1 დანართის „ზ“, „ზ$^{1}$“ და „ლ$^{2}$“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.**

**2. №2 დანართის:**

**ა) „ე“, „ე$^{1}$“, „მ$^{2}$“ და „ც“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;**

**ბ) „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ნ) საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტები და საქართველოს ეროვნული ბანკის არააღმასრულებელი წევრები;“;

**გ) „ჩ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ჩ) სსიპ – საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკისა და ჰერალდიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე და მისი მოადგილე, სსიპ – საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკისა და ჰერალდიკის დეპარტამენტის არაუმეტეს 5 თანამშრომელი – დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე;“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი კობახიძე**